საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სტუდენტური თვითმართველობის საერთო კრების სხდომის ოქმი № 01

ქ. ბათუმი 14 აპრილი 2025 წლის

2025 წლის 14 აპრილს გაიმართა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის წევრები (დანართი 1);

ბსუ-ს სტუდენტური თვითმართველობის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: ლაშა გაზდელიანი;

დღის წესრიგი

1. ბსუ-ს სტუდენტური თვითმართველობის საარჩევნო კომისიის მიერ 2025 წლის 11 აპრილს ჩატარებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირი -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ) სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატების უფლებამოსილების ცნობა;
2. სხდომის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა;
3. ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევა
4. მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: 1. სხდომა გახსნა ბსუ-ს სტუდენტური თვითმართველობის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ლაშა გაზდელიანმა, მიესალმა თვითმმართველობის წევრებს, კრება გახსნილად გამოიცხადა და აღნიშნა, რომ საკითხები დღის წესრიგის თანმიმდევრულად არის მისაღები და პირველ საკითხად წამოაყენა ბსუ-ს სტუდენტური თვითმართველობის საარჩევნო კომისიის მიერ 2025 წლის 11 აპრილს ჩატარებულ ბსუს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატების უფლებამოსილების ცნობა.

დაადგინეს:

1. საერთო კრებამ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით 96 (ხმით) დაადგინა : ბსუ-ს სტუდენტური თვითმართველობის საარჩევნო კომისიის 2025 წლის 11 აპრილს შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე ცნობილი იქნეს შემდეგი სტუდენტების უფლებამოსილება (დანართი 1)

მოისმინეს: **2.** ბსუ-ს სტუდენტური თვითმართველობის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ლაშა გაზდელიანმა აღნიშნა, რომ სხდომას მიზანშეწონილია გაუძღვეს თვითმართველობის წევრი, რისთვისაც საჭიროა სხდომის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა.

თვითმართველობის წევრმა იოსებ შავაძემ სხდომის თავმჯდომარედ დაასახელა სანდრო კიკნაძის კანდიდატურა და სთხოვეს თვითმართველობის წევრებს, კენჭი ეყარათ დასახელებული კანდიდატურისთვის.

დაადგინეს:

2. ღია კენჭისყრის შედეგად 96 ხმით ბსუ-ს სტუდენტური თვითმართველობის საერთო კრების სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას სანდრო კიკნაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მდივნის თანამდებობაზე წარმოადგინა იოსებ შავაძის კანდიდატურა და სთხოვა თვითმართველობის წევრებს კენჭი ეყარათ დასახელებული კანდიდატურისთვის.

დაადგინეს:

3. ღია კენჭისყრის შედეგად 96 ხმით ბსუ-ს სტუდენტური თვითმართველობის საერთო კრების სხდომის მდივნად არჩეულ იქნას იოსებ შავაძე.

მოისმინეს: **4.** სტუდენტური თვითმმართველობის სხდომის თავმჯდომარემ საკითხად დასვა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევნები.

აღნიშნული საკითხი მოისმინეს კრების წევრებმა და აზრი გამოთქვეს, რომ სტუდენტური თვითმართველობის საპრეზიდენტო კანდიდატის წარმოდგენა ბსუ-ს თვითმმართველობის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მოხდეს სხდომის

ბსუ-ს თვითმმართველობის სრული შემადგენლობის 1/3-ს, რაც დადასტურებული უნდა იქნეს მათი ხელმოწერებით.

4.საერთო კრებამ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით 96 ხმით დაადგინა:

სტუდენტური თვითმართველობის 1/3 ეთხოვოს წარმოადგინოს პრეზიდენტის კანდიდატი/ კანდიდატები დადასტურებული თვითმართველობის ხელმოწერებით სხდომის მიმდინარეობისას. სტუდენტური თვითმართველობის საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართოს ორშაბათს 14 აპრილს 13:00-დან 15:00- საათის ჩათვლით.

მოისმინეს: 5. სხდომის თავმჯდომარემ სანდრო კიკნაძემ აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის დებულების შესაბამისად პრეზიდენტად წარმოდგენილია 1 კანდიდატი ნიკა ფარტენაძე, სხვა კანდიდატს არ წარმოუდგენია ხელმოწერები, მიწანშეწონილია ეთხოვოს ბსუ-ს საარჩევნო კომისიას უზრუნველყოს არჩევნების ღიად ჩატარება.

5. საერთო კრებამ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით 96 (ხმით) დაადგინა:

ბსუ-ს სტუდენტური თვითმართველობის საპრეზიდენტო არჩევნებში 2025 წლის 14 აპრილს 13:00-დან 15:00 საათის ჩათვლით კენჭი ეყაროს სტუდენტური თვითმმართველობის დებულების შესაბამისად პრეზიდენტად წარმოდგენილ კანდიდატს, ნიკა ფარტენაძეს და ეთხოვოს ბსუ-ს საარჩევნო კომისიას არჩევნების ჩატარება.

სტუდენტური თვითმმართველობის

საერთო კრების სხდომის თავმჯდომარე — სანდრო კიკნაძე

სტუდენტური თვითმმართველობის

საერთო კრების სხდომის მდივანი — იოსებ შავაძე